

რევაზ შეროზია

სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა უღვლილების ზოგიერთი საკითხისათვის მეგრულში

დრო-კილოთა წარმოების მხრივ ზმნები მეგრულში (ისევე, როგორც ქართულში) ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს (მხედველობაში არ ვიღებთ ე.წ. გამონაკლისებს, როგორცაა „ვაშობ“ ტიპის ფორმები...),- წესიერი და არაწესიერი უღვლილების ზმნებად.

პირველ ჯგუფში გაერთიანდება ყველა დინამიკური, მოქმედების პროცესის აღმნიშვნელი და, რაც მთავარია, დრო-კილოთა თითოეულ ჯგუფში ფუძეუცვლელი ზმნები:

ჭკირუნ-ს-დოჭკირუნ-ს= კრი-ს-დაჭრი-ს

ჩჩხუნ-ს-გორჩხუნ= ს-რეცხავ-ს-გარეცხავ-ს

იჭუ-დ-იჭუ= იწვი-ს-დაიწვი-ს

ათოლუ-დ-ათოლუ= ეთლებ-ა-გაეთლებ-ა

ჭითონდუ-გოჭითონდუ= წითლდებ-ა-გაწითლდებ-ა...

ამავე ჯგუფში შემოვა ისეთი სტატიკური ზმნები, რომლებიც შინაარსობრივად თითქოს მოქმედების პროცესზე მიანიშნებენ, მაგრამ კონკრეტული დროით არ არიან შემოფარგლული:

ფურინუნ-ს-მიდაფურინუნ-ს= ფრენ-ს-გაფრინდებ-ა

ფუნ-ს-ქოფუნ-ს= დულ-ს-ადულდებ-ა

სხაპუნ-ს-ქოსხაპუნ-ს= ცეკვავ-ს-იცეკვებ-ს

ხტი-ს-იხტუნებ-ს

ჩოჩუნ-ს-მიდაჩოჩუნ-ს- ჩოჩავ-ს-იჩოჩებ-ს...

მეორე ჯგუფში(არაწესიერი უღვლილების ზმნები) მოექცევა სტატიკურთა ის ნაწილი, რომლებიც მდგომარეობას, მდებარეობას გამოხატავენ:

ძუ-ძუდ-უ-ძუდა-ს= ძევ-ს-იდ-ო-იდო-ს

დგუ-დგუდ-უ-დგუდა-ს= დგა-ს - იდგ-ა-იდგე-ს

ღირუ-ღირუდ-უ-ღირუდა-ს= ღირ-ს-ღირდ-ა-ღირდე-ს

შუ-შუდ-უ-შუდა-ს= ახსოვ-ს-ახსოვდ-ა-ახსოვდე-ს...

უღვლივების თვალსაზრისით პირველი და მეორე ჯგუფის ზმნებს შორის ორი არსებითი ხასიათის სხვაობა შეინიშნება:

1.წესიერი უღვლილების ზმნებს, როგორც დინამიკურებს, ისე სტატიკურებს, დრო-კილოთა ოთხივე ჯგუფის ფორმები ეწარმოებათ:

კირუნ-ს-დოკირუნ-ს-დოკირ-უ-დოუკირუ-დგნოკირუე

კრავ-ს-შეკრავ-ს-შეკრ-ა-შეუკრავ-ს-თურმე შესძლებია შეკვრა

ფუნ-ს-გეფუნ-ს-გეფ-უ-გეუფუ-გენოფუე

დულ-ს-ამოდულდებ-ა-ამოდულდ-ა-ამოდულდებულ-ა-შესაძლებელი ყოფილა

ამოდულება...

არაწესიერი უღვლილების ზმნებს, აწმყოს წრის გარდა, მხოლოდ მეოთხე ჯგუფის ფორმები აქვთ (როგავა, 1953, გვ.19):

ნწკარუ-ნონწკარუე= დაწყობილია-დაწყობილი ყოფილა

ურზუ-ნორზუე= უნთია-თურმე უნთია/ენტო...

2. ვარაუდის გამოსახატავად პირველი ჯგუფის ზმნები მხოლოდ აღწერით ფორმებს გამოიყენებენ, ე.წ. მყოფად უსრულს (ვ. თოფურია, 1967, გვ.112; ჭუმბურიძე, 1986, გვ.134):

ზიმუნ-ს-ზიმუნდა-ს იცი= ზომავს ზომავდეს იქნება

რკიან-ს-რკიანდა-ს იცი= კივი-ს, კიოდეს იქნება...

მეორე ჯგუფის ზმნებს ვარაუდის გამოსახატავად ორგვარი საშუალება აქვთ (შეროზია, 1996, გვ.190):

ა) ორგანული წარმოება:

ურქუ-აჩქვენუ//აჩქვენუაფ-უ= იცი-ს, ეცოდინება-ა

მიკაქუნ-ს-მიკაქვენ-უ//მიკაქვენუაფ-უ

აცვი-ა-ალბათ აცვია//ალბათ ეცმება...

ბ) აღწერითი წარმოება:

ურქუ-ურქუდა-ს იცი= იცი-ს-ეცოდინება-ა

მიკაქუნ-ს-მიკაქუნდა-ს იცი= აცვია-ეცმევა

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აღწერითი წარმოება უღვლილების სისტემის კუთვნილება არ არის; იგი უნდა განვიხილოთ, როგორც სინტაქსური ერთეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოფურია, 1967—ვ. თოფურია, შრომები, 1, 1967 წ.
2. როგავა, 1953—გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იკე, V, 1953 წ.
3. შეროზია, 1997—რ. შეროზია, სტატიკური ზმნებისა და მყოფადის წარმოების ერთი საკითხი მეგრულში, კრ. გიორგი როგავას, 1997 წ.
4. ჭუმბურიძე, 1986—ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, 1986 წ.

REVAZ SHEROZIA

ON SOME QUESTIONS OF THE CONJUGATION OF STATIC AND DYNAMIC VERBS IN MEGRELIAN

The paper gives an attempt to group verbs into two series: regular and irregular forms. In addition to these the work discusses the means of expressing supposition - synthetic and descriptive forms for each series. Descriptive forms should rather be referred to as syntactic units than the sphere of conjugation.